# დღის წესრიგით გათვალისწინებული ექვსივე საკითხი მიიღეს, ოპოზიციონერი დეპუტატის მოთხოვნა კი ვერ დააკმაყოფილეს

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 11 იანვრის სხდომაზე, რომელიც მოულოდნელად გარდაცვლილი საკრებულოს წევრის გოჩა მგელაძის ხსოვნისადმი პატივის მიგებით დაიწყო, ექვსი საკითხი განიხილეს.

ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია საკრებულოს წევრის გოჩა მგელაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

ცვლილებები შეიტანეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის შესახებ“ საკრებულოს 2015 წლის 18 მაისის №49 განკარგულებაში. ამ ცვლილებების მიხედვით, კომისიები დაკომპლექტდა შემდეგნაირად: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია: ლავრენტი ბიგვავა, ლევან თოიძე, ნინო ტაბატაძე, კახაბერ კვაჭაძე; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია: ლევან თოიძე, თეიმურაზ სალუქვაძე, მედეა მახარობლიძე, გოჩა ძიმისტარიშვილი ნათია შარაშენიძე, ლევან მგელაძე.

ასევე ცვლილებები შევიდა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №70 განკარგულებაში, კერძოდ, დამტკიცდა ქალაქ ოზურგეთის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობა: საკრებულოს წევრი ლევან თოიძე; საკრებულოს წევრი მედეა მახარობლიძე; საკრებულოს წევრი ლავრენტი ბიგვავა; ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მამია მახარაძე, მერაბ წივწივაძე, გელა სარიშვილი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი გოჩა ჩხაიძე.

►►► გვ-2




# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოცემა. №3 (10144), 18 იანვარი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.


# კალანდა 2016 – საახალწლო ღონისძიებათა შემამკობელი გვირგვინი





## ღონისძიების დასასრულს, გრანდიოზული ფეირვერკის დროს, ცაზე სიმბოლურად ფერადოვანი ჩიჩილაკიც კი გამოისახა

ალიონი. 13 იანვარს, სოფელ დვაბზუში, შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის, ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრისა“ და ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების“ ორგანიზებით გამართულმა „კალანდობამ“ ცხადყო, რომ დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კულტურა მართლაც კულტურულ დონეზეა!

სადღესასწაულო ღონისძიებათა პირველი რიტმული კასკადი 20 საათისათვის დაიწყო, ბოლო აკორდი კი ზუსტად 12 საათისათვის დასრულდა. საწნახელთან „აგუნას“ გადაძახილ-გადმოძახილი, კურკანტელის მძივებით შემკული ჩიჩილაკები, ქვის კეცზე ლოყებშებრაწული მუცლის სალოცავი, ხვავის, ბარაქის, სიხარულის, სიყვარულისა და ბედნიერების დამბედებელი ტრადიციული მეკვლე, ღორის თავითა და სხვადასხვა სურსათ-ნუგბარით სავსე ხის დიდი გობით ხელში, მთა-ბარის შემძვრელი „მრავალჟამიერი“ – ეს არასრული ჩამონათვალია იმ ტრადიციული რიტუალებისა, რაც კალანდაზე სრულდება.

ადგილობრივმა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა „შემოქმედმა“, „ზენაარმა“ და „ურეკმა“ ისეთი მელოდიები დააგუგუნეს, ისეთი როკვები გამართეს, მგონი, ჭირვეული ამინდიც მოარჯულეს თავიანთი ხელოვნებით. ცეკვავდნენ და მღეროდნენ დიდები და პატარები, ახალბედები, გამოცდილები, სახელდებული ლოტბარები და დამსახურებული ქორეოგრაფები. ორიოდე სიტყვა დედაქალაქიდან მოწვეულ ეთნო-ფოლკლორულ ჯგუფზე „სნო“: ეს იყო ფანტასტიკური კონცერტი ფანტასტიკური მუსიკოსების შესრულებით. აფერუმ მედოლეს, რომელსაც მთელი კონცერტის განმავლობაში დოლი არ შეუსვენებია. მუსიკალური ინსტრუმენტების ფლობა გურულებს დიახაც ხელეწიფებათ, მაგრამ თუ ისეთ მარტივი საკრავით, როგორიც ფანდურია, ამდენი კომპოზიცია და იმპროვიზაცია იყო შესაძლებელი, ნამდვილად ვერ წარმოგვედგინა. სტუმართა საკონცერტო ნომრების შესაფასებლად დავესესხებით საყოველთაოდ ცნობილ ერთ ქართულ რეკლამას და ვიტყვით: ანსამბლი არის „სნო“!

როგორც სამადლობელ სიტყვაში „კალანდა-2016-ის“ სულისჩამდგმელმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ აღნიშნა, „სნო“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მომავალ კალანდებსა და სხვა დღესასწაულებში მიიღებს მონაწილეობას. კარგი იქნება თუ ეს ეთნო-ფოლკლორული ჯგუფი პერსპექტივაში თავის რეპერტუარს გურული ინტონაციებითაც გაამდიდრებს.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა: ღონისძიების დასასრულს, გრანდიოზული ფეირვერკის დროს, ცაზე სიმბოლურად ფერადოვანი ჩიჩილაკიც კი გამოისახა.

მოკლედ, ასეთი იყო საახალწლო ღონისძიებათა შემამკობელი გვირგვინი „კალანდა-2016“.

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

*ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით*

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


დაინყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე

«ალიონით»

# შაბათიდან პარასკევამდე

„ალიონის“ ყოველ ნომერზე რედაქცია პარასკევობით ამთავრებს მუშაობას, გაზეთი შაბათობით თბილისში, გამომცემლობა „მერიდიანში“ იბეჭდება, ორშაბათობით კი ოზურგეთში მკითხველს მიეწოდება. ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ დღეების ინფორმაციები, ქრონოლოგიურად, კრეპსის სახით, მოგაწოდოთ რუბრიკით „შაბათიდან პარასკევამდე“.

## ქალაქის მერმა 51 ოჯახს ახალი ბინების გასაღებები გადასცა

**9 იანვარი, შაბათი.** ქალაქ ოზურგეთის მერმა **ბეგლარ სიორიძემ** 51 ოჯახს ახალი ბინის გასაღებები გადასცა. ცერემონიას ესწრებოდნენ გურიის გუბერნატორი **გია სალუქვაძე;** ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი **ზვიად კვაჭანტირაძე** და სხვა ოფიციალური პირები.

## რედაქციის კარის ჭუჭრუტანაში დატოვებული წერილი

**10 იანვარი, კვირა.** „ვარ სოციალურად დაუცველი ქალი. არ გამაჩნია არაფერი ერთი ოთახის მეტი. გასული წლის 3 მარტიდან მომიხსნეს სოცდახმარება. ორი თვეა არც დახმარება მაქვს და არც პენსია. ძაან მაღალი ქულები მაქვს. რაში? რატომ? რომ ვკითხე აგენტს, ასე მიპასუხა, უფროსი რასაც დამავალებს, იმას ვაკეთებო. შემოწმებაზე 20 წელია არავინ მოსულა. ამ ერთოთახიან ბინაში გასული წლის 3 მარტიდან შევედი. სარემონტო იყო და სესხად ერთად გამოვიტანე 18 თვის პენსია. დეკემბერში შესრულდა ერთი წელი. ნოემბერ- დეკემბრის პენსია მთლიანად წაიღეს. საჭმლისა და წამლის ფული არ მაქვს, რაღა ვქნა?“

წერილი ხელმოუწერელია. იმედია, მისი ავტორი შეგვეხმიანება.

## გურიის გუბერნატორმა ამერიკაში მცხოვრებ დუმბაძეებს უმასპინძლა და მათ პატრიარქის საეკლესიო საგალობელი უსახსოვრა

**11 იანვარი, ორშაბათი.** გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ მიიღო აშშ-დან ოზურგეთში სტუმრად ჩამოსული, სოფელ შემოქმედიდან ემიგრირებული შოთა დუმბაძის შვილები.

სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს კალიფორნიის შტატის ქალაქ სანტა-როზასა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დამეგობრების საკითხებზე. გია სალუქვაძემ სტუმრებს პატრიარქის საეკლესიო საგალობელი უსახსოვრა და სიმბოლური საჩუქარიც გადასცა.

შოთა დუმბაძის შვილები აშშ-ში საკმაოდ წარმატებული არიან, ოთხი ექიმია, ერთი კი – პედაგოგი. ბოლო პერიოდში ბატონი შოთა თურმე სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ მოახერხა. უკანასკნელი სურვილი მას შვილებმა აუსრულეს და მამის ფერფლი შემოქმედის მონასტერში წინაპრების საფლავთან დაფლეს.

## საკრებულოში დეპუტატთა ანგარიშების მოსმენა დაიწყო

**11 იანვარი, ორშაბათი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოს დეპუტატთა ანგარიშების მოსმენა დაიწყო. საკრებულოს სხდომათა დარბაზში დეპუტატების ვლადიმერ ვადაჭკორიასა და მურად ჩხაიძის ანგარიშების პრეზენტაცია გაიმართა.

საკრებულოს დანარჩენი წევრებიც თავიანთ ანგარიშებს 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებს წინასწარ დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით წარუდგენენ.

## სოფელ მშვიდობაურში ხიდი ავარიულ მდგომარეობაშია

**12 იანვარი, სამშაბათი.** რედაქციას სოფელ ასკანის მცხოვრებმა აივენგო წიტაიშვილმა მომართა. მისი თქმით, სოფელ მშვიდობაურში, მდინარე ბახვისწყალზე მდებარე საავტომობილო ხიდი ავარიულ მდგომარეობაშია, ცალ მხარეს თითქმის გამოცლილი აქვს ბურჯი. მასზე გადაადგილებით რეალური საფრთხე ემუქრება როგორც სატრანსპორტო საშუალებებს, ისე ქვეითად გამვლელებს. „დროზე უნდა შველა, სანამ რაიმე უბედურება დატრიალდებოდეს“, – გვითხრა წიტაიშვილმა, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლებისგან შესაბამის რეაგირებას ითხოვს.

ამ თემაზე რეპორტაჟს გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

## კალანდობა ეთნოგრაფიულ მუზეუმში

**13 იანვარი, ოთხშაბათი.** სოფელ დვაბზუში შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში კალანდობის დღესასწაულთან დაკავშირებული ტრადიციული ღონისძიებები გაიმართა.

თეატრალიზებულ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, ასევე თბილისიდან მოწვეული ეთნო-ფოლკლორული ჯგუფი „სნო“.

ღონისძიება გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა.

## ავტოსაგზაო შემთხვევა ოზურგეთში

**14 იანვარი, ხუთშაბათი** დაახლოებით 10 საათისათვის ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა ქალაქ ოზურგეთში. 9 აპრილისა და ი. პეტრიწის ქუჩების კვეთაზე, საპატრიარქოს რეზიდენციასთან ერთმანეთს შეეჯახა ფორდის მარკის მიკროავტობუსი სახელმწიფო ნომრით **GKG751** და უცხოური მსუბუქი ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით **LE-100-DI**. ავარიის შედეგად არავინ დაშავებულა. ორივე სატრანსპორტო საშუალების წინა მხარე ძლიერ დაზიანდა. შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდა საპატრულო პოლიცია.

## ნაციონალები გუბერნატორის გადადგომას ითხოვენ

**15 იანვარი, პარასკევი.** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ოფისში გამართულ ბრიფინგზე რაიონული ორგანიზაციის ლიდერებმა გურიის გუბერნატორის გია სალუქვაძის თანამდებობიდან დაუყონებლივი გათავისუფლების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის დავით მჟავანაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კვირიკაშვილმა მოსვლის პირველივე დღეს განაცხადა, ჩადენილი ქმედების გამო პასუხს აგებდა ყველა ის პირი, ვინც წამების ამსახველი ვიდეოს ჩვენებაში მონაწილეობდა, დღემდე არაფერი შეცვლილა.

ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ აქ გაკეთებული განცხადებით კი, აშკარად იკვეთება ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა „ნაციონალების“ ოფისებზე თავდასხმა. ასე რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად დაისმებოდა იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც თავდასხმები განახორციელა.

აქვე აჩვენეს კადრები, სადაც გურიის გუბერნატორი უშუალოდ მონაწილეობდა წამების ამსახველი კადრების ჩვენებაში.

# შუალედური არჩევნები ოზურგეთშიც ჩატარდება

**ალიონი.** ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ოზურგეთშიც ჩატარდება – როგორც ქალაქის, ისე თემთა მუნიციპალიტეტში.

თემთა მუნიციპალიტეტის საკრებულოში, კერძოდ, ნასაკირალში შუალედური არჩევნების ჩატარება მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც დაბა ნასაკირალის მაჟორიტარ დეპუტატს ვადამდე ადრე შეუჩერდა დეპუტატის უფლებამოსილება. ართმელაძე თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეში და მას პატიმრობა შეუფარდა. სასამართლოდან კანონიერ ძალაში შესული განაჩენის მიღების შემდეგ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შოთა ართმელაძეს შეუწყვეტს უფლებამოსილებას და ამის შესახებ აცნობებს ოზურგეთი №60 საოლქო საარჩევნო კომისიას.

რაც შეეხება ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აქ ერთი მაჟორიტარი დეპუტატის ადგილი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც მოულოდნელად გარდაიცვალა მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა მგელაძე.

როგორც ქალაქის, ისე თემთა მუნიციპალიტეტში დეპუტატობის კანდიდატთა ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება.

ოზურგეთის №60 საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის ალექსანდრე ღლონტის ინფორმაციით კი. შუალედური არჩევნები სავარაუდოდ მაისში გაიმართება.

# ხალხური სიმღერა-გალობის სკოლამ მისამართი შეიცვალა



**ალიონი.** საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონალური წარმომადგენლობის ქართული ხალხური სიმღერა-გალობის სკოლამ მისამართში შეიცვალა და ახლა იგი დროებით, ახალი ოფისის გახსნამდე ქალაქ ოზურგეთის მეორე საჯარო სკოლაში განთავსდა.

ცენტრის დირექტორის ავთანდილ სურგულაძის თქმით, არის პროექტი, ბიუჯეტში ჩასმულია შესაბამისი თანხა, რათა წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიულ მუზეუმს.

წლის ბოლოს სკოლამ შემაჯამებელი კონცერტი წარმოადგინა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში, რომელსაც საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მოადგილე გიორგი გაბუნია დაესწრო.

# საკალანდო კონცერტი ქალაქ ოზურგეთის მზრუნველობამოკლებულთა სასადილოში



**ალიონი.** სამახსოვრო კალანდა გაუთენდათ ქალაქ ოზურგეთის მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს ბენეფიციარებს. მათთვის აქ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ძალისხმევით საკალანდო კონცერტი გაიმართა, რომელსაც ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე, მერის მოადგილე კობა დუნდუა, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე, სოციალური სამსახურის უფროსი თამარ დუმბაძე, ქალაქის ხელისუფლების სხვა პასუხისმგებელი პირები, საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„მოხარული ვარ, რომ აქ შევხვდით ერთმანეთს. ნამდვილი ახალი წელი დღეს დაგვიდგა. ყველას მშვიდობასა და ჯანმრთელობას გისურვებთ! – მიმართა ქალაქის ბეგლარ სიორიძემ უფასო სასადილოს ბენეფიციარებს.

ქალაქის მერმა, საკრებულოს თავმჯდომარემ და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელმა 155 ბენეფიციარს ინდივიდუალურად გადასცეს 3813 ლარის ღირებულების საკალანდო ნობათები. შესაბამისი ხარჯები ქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გაიღო.

სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს წევრებმა, რომლებმაც ტკბილეულითა და ხილით სავსე ამანათები უსახსოვრეს ბენეფიციარებს.

# მდინარე ბჟუჟის ნაპირსამაგრი სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე ეკა სეფაშვილმა, „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ დირექტორ იოსებ ოზაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, მდინარე ბჟუჟის ნაპირსამაგრი სამუშაოები დაათვალიერა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში, მდინარე ბჟუჟის ნაპირსამაგრ სამუშაოებს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინირებით „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ ახორციელებს. ბჟუჟის ადიდებამ 2014 წლის სექტემბერში, გურიას 3 მილიონ 24 ათასი ლარის ზარალი მიაყენა.

პროექტის ფარგლებში შენდება 7,20 მეტრი სიმაღლის რკინა-ბეტონის დამცავი კედელი. კედლის მშენებლობა ბჟუჟის კალაპოტში იმ ადგილას მიმდინარეობს, სადაც ადიდებულმა მდინარემ 70 მეტრი საავტომობილო გზა ჩაანგრია და მოძრაობა შეაჩერა.

აღნიშნული გზით გურიის 7 სოფლის მოსახლეობა - დაახლოებით 5219 ადამიანი და რეგიონის სტუმრები სარგებლობენ. ნაპირდამცავი სამუშაოების დასრულების შემდეგ, გზაზე გადაადგილება მათთვის, ინტენსიური წვიმების დროსაც კი, უსაფრთხო იქნება.

ბჟუჟის ნაპირგამაგრების სამუშოები, ასევე, მოიცავს 100 მეტრი სიგრძის გაბიონის მშენებლობას. ამასთან, გაიწმინდა, გაფართოვდა და გაღრმავდა მდინარის კალაპოტი; წყლის შესაკავებლად მოეწყო რამდენიმე დროებითი დამბა, ჩაიდო 36 ცალი 10-ტონიანი ტეტრაპოდი.

მდინარე ბჟუჟის ნაპირგამაგრებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6 მილიონი ლარი გამოიყო. სამუშაოებზე 45 ადამიანია დასაქმებული.

# ანასეულის ხანდაზმულთა სახლის ბენეფიციარებისთვის ქალაქის მერია ფულად საჩუქარს გაიღებს



**ალიონი.** ქალაქის მერია თითოეულ ბენეფიციარს 100-100 ლარს ჩაურიცხავს.

ამის შესახებ ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ 14 იანვარს იანვარს განაცხადა, როცა აქ, ამ სახლის ბენეფიციარებს შეხვდა და მათ კალანდა მიულოცა:

„შესანიშნავი პირობები გაქვთ შექმნილი. ეს ხანდაზმულთა სახლი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში ამ ტიპის დაწესებულებებს შორის. მისი დაფუძნება, გამართვა და ამ დონეზე აყვანა ოზურგეთში მოქმედი, ასევე ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო არსამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ დამსახურებაა, იაპონიის საელჩოსთან ერთად. მინდა, ყოველივე ამისათვის, ქალაქის ხელისუფლების სახელით, საჯაროდ მადლობა გადავუხადო „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ხელმძღვანელს, ქალბატონ მარინა თოფურიას“. გილოცავთ კალანდას და ამ დღესასწაულთან დაკავშირებით, თითოეული ბენეფიციარისს სახელზე საჩუქრად ჩამოვრიცხავთ 100-100 ლარს“.

ბეგლარ სიორიძეს ანასეულის ხანდაზმულთა სახლში თან ახლდნენ მისი მოადგილე კობა დუნდუა, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო გოგუაძე.

ქალაქის ხელისუფლებასთან ერთად, ამ დღეს ხანდაზმულთა სახლის მობინადრეები მოინახულა ინდმეწარმე „ბიძინა კვაჭანტირაძემ“ თანამშრომლებთან ერთად. მათ ბენეფიციარებს საჩუქრად გადასცეს საახალწლო გარევაჭრობით გამომუშავებული თანხით შეძენილი ხილი, ტკბილეული და მატონიზებელი სასმელები.

ანასეულში მდებარე ხანდაზმულთა სახლი დღესდღეობით 16 ბენეფიციარს მზრუნველობს.

# შეხვედრა ამერიკელ ქართველებთან



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია და საკრებულოს დეპუტატები ინგა დუმბაძე და ლელა საჯაია ამერიკაში მოღვაწე ქართველ ექიმებს შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანს კალიფორნიის შტატის, ქალაქ სანტა-როზასა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დამეგობრების საკითხი წარმოადგენდა. მხარეები ტურისტულ და სამედიცინო სფეროში ურთიერთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. ისაუბრეს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესწავლა-განვითარებასა და პოპულარიზაციაზე.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ემიგრანტი შოთა დუმბაძე საფრანგეთსა და ამერიკაში მოღვაწეობდა. მისი შვილები: თამარ, თინა, დაიანა, როსტომ და ქრისტეფორე დუმბაძეები კალიფორნიის შტატში, ქალაქ სანტაროზაში ცხოვრობენ და წარმატებული სამედიცინო კარიერა აქვთ.

# დღის წესრიგით გათვალისწინებული ექვსივე საკითხი მიიღეს, ოპოზიციონერი დეპუტატის მოთხოვნა კი ვერ დააკმაყოფილეს

ცნობად მიიღეს ინფორმაცია საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ დაშლის შესახებ.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესებისა და საჯარო აუქციონის წესით ქონების პრივატიზებისას საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცები შესახებ“ – საკრებულოს 2015 წლის 5 თებერვლის №11 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

სხდომის დასასრულს საკრებულოს თავმჯდომარე **გელა კობალაძემ** გაასაჯაროვა დეპუტატ ნათია შარაშენიძის განცხადება:

„2015 წლის 28 დეკემბერს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო-სამანდატო, იურიდიულ და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ირინა საჯაიამ სამუშაო საათებში, სამუშაო ოთახში განახორციელა ჩემს მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუქარა. ვფიქრობ, მისი ქმედებები ეწინააღმდეგება არა მარტო ეთიკის ნორმებს, არამედ იმ თანამდებობასაც, რომელიც უკავია ქალბატონ საჯაიას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვ უახლოეს საკრებულოს სხდომაზე განხილულ და შესწავლილ იქნეს მისი თანამდებობაზე ყოფნის საკითხი“.

ქალაქის საკრებულოს ერთადერთი ლეიბორისტი დეპუტატი ნათია შარაშენიძე სხდომას არ ესწრებოდა, მისი წერილის საპასუხოდ კი საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა:

... „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 103-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვან მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა, შესაბამისი კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ“.

საკრებულოს თამჯდომარე მიიჩნევს, რომ ნათია შარაშენიძესა და ირინა საჯაიას შორის არსებობს პიროვნული კონფლიქტი. ამიტომ შარაშენიძის მოთხოვნა, რომ უახლოეს საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნეს ქალბატონი ირინა საჯაიას აღნიშნულ თანამდებობაზე ყოფნის საკითხი, ვერ დაკმაყოფილდება.

**ირინა საჯაიამ** კი თავის კომენტარში აღნიშნა, რომ პირიქით, შეურაცხყოფა მას ნათია შარაშენიძემ მიაყენა:

„არ ვაპირებდი კომენტარს, მაგრამ რადგან ეს ქალბატონი სულ პროვოკატორობს, უბრალოდ მინდა ვთქვა, რომ შეურაცხყოფა თვითონ მომაყენა ფეისბუქში გავრცელებული კარიკატურით, სადაც მერის ქურთუკის ჯიბეში სამი დეპუტატი ვიყავით დახატული“.

ამას მოჰყვა დეპუტატ **გოჩა ძიმისტარიშვილის** რეპლიკა დარბაზიდან: „რაც გავრცელდა ინტერნეტში კარიკატურის სახით, არის სიმართლე, ეს ხალხი მერთან დაახლოებულია“.

აქვე გაჟღერებული ინფორმაციით, ოპოზიციონერმა დეპუტატმა ნათია შარაშენიძემ ამ საკითხზე განცხადებით მიმართა შს ოზურგეთის რაიონულ განყოფილებას.

*თვალსაზრისი*

# ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამას ფართო მხარდაჭერა



პროგრამა იყოფა ორ კომპონენტად: 1) კერძო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია და ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოების შექმნა; 2) სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია და ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოების შექმნა. პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც იურიდიულ პირებს, ასევე სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივებს. ჩაის პლანტაციებში სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება ერთ ჰექტარზე არ აღემატება 2500 ლარს, დღგ-ს ჩათვლით. აქვე განსაზღვრულია, რომ თუ სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით აღემატება 2500 ლარს მაშინ თანადაფინანსების მოცულობის დადგენა ხორციელდება 2500 ლარიდან- კერძო იურიდიული პირებისათვის-60 %-ის, ხოლო კოოპერატივებისათვის 80%-ის ფარგლებში. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციებისათვის: თანადაფინანსება იურიდიული პირისათვის 70%, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის 90%. ამასთან ყველა ტიპის საკუთრების ჩაის პლანტაციებისათვის სახელმწიფო დამატებით გასხვლის შემდგომ პირველსავე წელს შესატანი სასუქების ღირებულების 50% უნაზღაურებს.

კოოპერაციის მაქსიმალური ხელშეწყობის მიზნით პროექტში მონაწილე კოოპერატივები ასევე დამატებით უსასყიდლოდ მიიღებენ ჩაის პირველადი დამუშავებისათვის საწარმოო მანქანა დანადგარებს, მოწყობილობებსა და ინვენტარს.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 2016 წლის იანვრიდან უნდა შევიდეს ძალაში, განსაკუთრებულ ძალისხმევასა და ენერგიას მოითხოვს. შემდგომ ეტაპზე მიზანშეწონილი იქნება არა მარტო არსებული ჩაის პლანტაციების ექსპლუატაციაში ჩაყენება, არამედ ახალი მაღალმოსავლიანი და მაღალპროდუქტიული ჩაის პლანტაციების გაშენება-რისთვისაც აქედანვე უნდა იქნას გატარებული როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე ორგანიზაციულ-პრაქტიკული ღონისძიებები. ამ მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნას ჩაის აღდგენა-რეაბილიტაციის სააგენტო-რომელიც მთლიანად თავის თავზე აიღებს დარგის განვითარებას. სააგენტოს ფუნქციონირების ადგილსამყოფელად განისაზღვროს ოზურგეთი-ანასეული შემდეგი მოტივაციის გამო:

— ანასეულში ფუნქციონირებს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი.

— ანასეულში ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“-ს ლაბორატორია.

— ოზურგეთში ფუნქციონირებს შპს „ოზურგეთის მძიმე დანადგარი“ რომელიც ორიენტირებულია ჩაის ნედლეულის გადამამუშავებელ მანქანა-დანადგარების სერიულ წარმოებაზე.

— ოზურგეთი-ანასეული წარმოადგენს მეჩაიეობის ძირითადი რეგიონების გურია-სამეგრელო-აჭარის ცენტრს, საიდანაც ყოველმხრივ მოხერხებულია დარგის სახელმწიფოებრივი მართვა.

— ანასეულში არსებული სამეცნიერო პოტენციალი სააგენტოს მუშაობას გახდის მიზანმიმართულს, მობილურს და შედეგებზე ორიენტირებულს. ახლად შექმნილი სააგენტოს ძირითადი ფუნქცია უნდა განისაზღვროს შემდეგი საკითხებით:

— მოახდინოს ჩაის პლანტაციებისა და ჩაის გადამამუშავებელი საწარმოების სრული ინვენტარიზაცია.

— მეცნიერებთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშაოს მეჩაიეობის დარგის განვითარების პერსპექტიული გეგმა .

— სახელმწიფოს წარუდგინოს დასაბუთებული წინადადებები და რეკომენდაციები პირველ ეტაპზე არსებული ჩაის პლანტაციების სახელმწიფო სახსრებით აღდგენის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისათვის.

— დააწესოს მონიტორინგი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაციის განმახორციელებელ კომპანიაზე.

— დამატებით გამონახოს დონორები მეჩაიეობის დარგის განვითარებისათვის.

— ჩაის კულტურით დაინტერესებულ კომპანიებს, მცირე მეწარმეებს ფერმერებს აღმოუჩინოს პრაქტიკული დახმარება ტექნიკის , სასუქების, სათესლე და სარგავი მასალით.

— სახელმწიფო დონეზე გადაწყვიტოს ახალი პლანტაციების გასაშენებლად ჩინეთიდან ჩაის პერსპექტიული ჯიშების და ნერგის შემოტანის საკითხი.

— შეუმციროს , ან გარკვეული წლების მანძილზე მოუხსნას მიწის გადასახადი ჩაის პირველად მწარმოებლებს, საგადასახადო შეღავათები დაუწესდეს გადამამუშავებელ წარმოებებს.

— ჩაატაროს ჩაის აუქციონი, ფესტივალები, გამოფენები, რათა დაეხმარონ კომპანიებს ჩაის პროდუქციის რეალიზაციაში.

— მოახდინოს ეკოლოგიურად სუფთა ჩაის პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების წახალისება და პოპულარიზაცია.

— სააგენტოს მიერ მოძიებული იქნას ბაზრები და ინვესტორები.

— ოზურგეთში შეიქმნას ერთი მაღალტექნოლოგიური ჩაის მრავალფუნქციური კომბინატი საკუთარი ჩაის პლანტაციებითა და გადამამუშავებელ-დამფასოებელი დანადგარებით, როგორც საპილოტე საწარმო, სადაც დაინერგება ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი და უცხოური ინოვაციური ტექნოლოგიები, რომელიც კონკურენტუნარიანობას შეძენს დარგს.

აღნიშნულ ღონისძიებათა პრაქტიკული რეალიზაცია მნიშვნელოვნად დააჩქარებს მეჩაიეობის დარგის ზრდას, უმუშევართა დასაქმებას და გააუმჯობესებს მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

**ზაურ გაბრიჩიძე**- სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
**რუსუდან ტაკიძე**- სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.
**ზურაბ ბოკუჩავა**- ინჟინერ ტექნოლოგი.

ოზურგეთი-- ანასეული

*სპეციალისტის რეკომენდაციები*

# ჯანმრთელობის საიდუმლოება ჯანსაღ პროდუქტებშია

ფუტკრის მიერ ნატურალურად დამზადებული სასწაულმოქმედ პროდუქტებს შორის თაფლი, თავისი უნიკალური შედგენილობისა და თვისებების გამო, შეუცვლელია. მას პირველი ადგილი უჭირავს წამლებს შორის, რომელთაც ბუნება გვაწვდის ყვავილებისა და სამკურნალწამლო ბალახების მეშვეობით.

ცნობილია, რომ თაფლი ათეული და ასეული წლების მანძილზე ინარჩუნებს თავის საგემოვნო, კვებით და სამკურნალო თვისებებს. თაფლში შედის ორგანიზმისათვის საჭირო 70-ზე მეტი სხვადასხვა ნივთიერება და ელემენტი, რაც ხდის მას არა მარტო საუკეთესო საკვებად, არამედ ფარმაკოლოგიურ ობიექტადაც. ყველა ამ არსენალის წყალობით, თაფლი მიჩნეულია მრავალმხრივი გამოყენების საშუალებად. თაფლი შეიცავს სისხლის განმანახლებელ, ნერვების დამამშვიდებელ და ახალი სიცოცხლის მიმნიჭებელ ნივთიერებებსა და ვიტამინებს, აძლიერებს ორგანიმმს დამცავი ძალებითაც.

ოჯახურ პირობებში როგორ განვასხვავოთ ნატურალური პროდუქტი უხარისხოსაგან, რა უნდა ვიცოდეთ ამისათვის? პირველ რიგში, უნდა ავამაღლოთ ჩვენი ცნობიერება და გამოცდილება.

### თაფლის კონსისტენცია

ახალი თაფლი ნახევრად თხიერი, გამჭვირვალე მასაა, დროთა განმავლობაში ის იწყებს დაკრისტალებას. ნატურალურ თაფლს ახასიათებს დაკრისტალების სამი ფორმა: მსხვილმარცვლოვნი, წვრილმარცვლოვანი და ქონისებური.

საჭიროების შემთხვევაში 50-55 გრადუსამდე შეთბობისას თაფლი კვლავ უბრუნდება პირვანდელ ფორმას, რაც მის ხარისხს არ ვნებს. უნდა გვახსოვდეს, რომ თაფლის ძლიერი გაცხელება, ადუღება დაუშვებელია.

— ნატურალურ თაფლს გემოვნურად გასინჯვის დროს უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ ყვავილის დამახასიათებელი გემო, არომატიც, თავისებური ბუკეტი და ასევე სუნი. ფალსიფიცირებული, შაქრიანი თაფლი კი ყველა ამ ფაქტორს მოკლებულია, ახასიათებს მხოლოდ მოჭარბებული, ერთფეროვანი სიტკბო.

— ნექტრის თაფლად გარდაქმნა რთული ფიზიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური პროცესია. ნექტარი შეიცავს 70-75% წყალს, გადამუშავების შედეგად წყლის შემცველობა მასში 21%-ზე მეტი არ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენახვისას თაფლი ამჟავდება. თუ კოვზით ვიღებთ თაფლს და კოვზს დავატრიალებთ, მოუმწიფებელი თაფლი მისგან ადვილად ჩამოედინება, მწიფე კი კოვზზე დაეხვევა ფენოვან ნაოჭებად, ჩამოედინება უწყვეტ ძაფად. გაწყვეტის შემთხვევაში ძაფი იწევს ზევით, კოვზისკენ.

— ნატურალური თაფლი გასინჯვისას ყელის არეში გემოს რამდენიმე წუთის განმავლობაში ტოვებს, ყალბისა კი მალე ქრება.

— თუ ქათმის კვერცხს თხევად გამდნარ თაფლში ჩავაგდებთ და კვერცხი ჩაიძირება, ეს იმას ნიშნავს, რომ თაფლი მოუმწიფებელია და მასში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა წყალი.

— ნახევარ ჭიქა ნელთბილ წყალში გავაზავოთ ერთი ჩაის კოვზი თაფლი და დავაგემოვნოთ, ასეთ ხსნარში გემო და სუნი უფრო გამოკვეთილი ხდება, მეტად შესამჩნევია.

### ფერი

თაფლის ფერი დამოკიდებულია ნექტარში არსებულ შემფერავ ნივთიერებებზე, აქედან გამომდინარე, მისი შეფერილობა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: ღია ყვითელი, ლიმონისფერი, ყვითელი, ოქროსფერი, მუქი, ყავისფერი, მწვანე და შავიც. თაფლი დროთა განმავლობაში კარგავს პირვალდელ ფერს. კრისტალიზაციისას იცვლის ფერს, გადადის მოთეთრო ან ყავისფერში.

### არომატი

თაფლის სხვადასხვა სახეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არომატითაც. ამ ნიშნის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ თაფლის ხარისხზე და ზოგიერთ შემთხვევაში თაფლის წარმოშობაზეც კი. თაფლის სუნი განპირობებულია მასში შემავალი დამახასიათებელი აქროლად ორგანული ნივთიერებების არსებობით.

### გემო

ფუტკრის თაფლი თავისი სასიამოვნო გემოთი, რაც დამოკიდებულია მის წარმოქმნასა და შემადგენლობაზე, განირჩევა კვების სხვა პროდუქტებისაგან. თაფლის სიტკბოვნება უშუალოდ დამოკიდებულია მასში არსებულ ბუნებრივ შაქრებსა და მათ წარმოქმნაზე.

### შენახვა

თაფლის მკვებავი და სამკურნალო ხარისხის შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის უვნებლად შენახვას. ცნობილია, რომ შესაფერის პირობებში თაფლს შეუძლია შეინარჩუნოს თავისი თვისებები განუსაზღვრელი ხნის განმავლობაში. ფუტკრის თაფლი ხასიათდება დიდი ჰიგროსკოპიულობით, რის გამოც ნესტიან სათავსოში ის მჟავდება, დაუშვებელია მისი შენახვა აქროლად ნივთიერებებთან (ბენზინი და სხვ.), ასევე სუნიან კვების პროდუქტებთან (თევზეული და სხვ.) ახლოს.

თაფლის ხარისხის შენარჩუნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჭურჭელს, რომელშიც ის ინახება. ამ მიზნისათვის ყველაზე უფრო ჰიგიენური და მოსახერხებელია მინისა და თიხის ჭურჭელი. თაფლის შესანახად გამოიყენება აგრეთვე ხის ჭურჭელიც. მასალად გამოიყენება ცაცხვი, ვერხვი, თხმელა, ნეკერჩხალი, თელა და სხვ.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ფაქტორიც — ფიჭა, რომელშიც თვეობით უწევს თაფლს დაყოვნება, თუ ის ფალსიფიცირებული სანთელიდან არის დამზადებული, უარყოფით გავლენას მოახდენს თაფლის ხარისხზე. უკანასკნელ წლებში გამოიყენება პლასტმასის ჭურჭელიც, მაგრამ მასში თაფლის დიდი ხნით გაჩერება არ არის რეკომენდებული.

ბაზარზე სარეალიზაციოდ გატანილი თაფლი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უვნებლობის მაჩვენებლებს, უნდა იქნეს ეტიკირებული განსაზღვრული წესით, რამაც შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი.

ძლიერი სურსათის უვნებლობის სისტემა მთავარ როლს ასრულებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვაში, ასევე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ჩვენი პროდუქცია გახდეს სანდო და კონკურენტუნარიანი. დიდ (საერთაშორისო) ბაზარზე გასვლა მოითხოვს დიდ შრომას, ინტელექტს და პასუხისმგებლობას, ხარისხიან, უსაფრთხო, ჯანმრთელობისათვის უვნებელ, კონკურენტუნარიან პროდუქციას.

თუ თქვენ აპირებთ ფუტკრის პროდუქტებით სავაჭრო ბიზნესსაქმიანობას, ან უკვე ჩართული ხართ ამ საქმეში, პროდუქციის უსაფრთხოებისა და ტექნიკური რეგლამენტის განსაზღვრის მიზნით, მიმართეთ სოფლის მეურნეობის სურსათის ეროვნული სამმართველოს გურიის რეგიონულ სამსახურს, სადაც კვალიფიციური სპეციალისტები გაგიწევენ სათანადო კონსულტაციებს.

**ჯანვერდი ცეცხლაძე,**
გურიის მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარე
ტელ. 599 21 43 44;
555 17 34 02.

# ქუჩაში მყოფი და მომუშავე ბავშვების უფლებებს სახელმწიფო დაიცავს



**ქუჩაში მყოფი და მომუშავე ბავშვების უფლებებს სახელმწიფო დაიცავს. შესაბამისი კანონპროექტი იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა და ის მთავრობის 15 იანვრის სხდომაზე დამტკიცდა.**

როგორც ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განუცხადა, კანონპროექტით შემოდის სტატუსი „მიუსაფარი ბავშვი", რომელზეც მთელი რიგი საჯარო სერვისი იქნება მიბმული.

„ჩვენი ყველას - სახელმწიფოს და საზოგადოების ტკივილია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები. ყველა ბავშვს აქვს განვითარების უფლება, ამიტომაც პარტნიორ ორგანიზაციებსა და კოლეგა სამინისტროებთან ერთად შევიმუშავეთ ცვლილებების პაკეტი, რომელიც მთავრობამ დღეს ერთხმად დაამტკიცა და რომელიც ემსახურება ქუჩაში მყოფი და მომუშავე ბავშვების უკეთესად დაცვას. პირველი ცვლილების მიხედვით საქართველოს კანონში შემოვა ახალი ცნება – **„მიუსაფარი ბავშვი"**, ამ სტატუსზე კი მიბმული იქნება მთელი რიგი საჯარო სერვისებისა. მაგალითად, დღეს თქვენ იცით, რომ ამგვარი ბავშვები ვერ იღებენ საბუთებს, ვერ ხდება მათი იდენტიფიკაცია თუ საიდან მოდიან, ვინ არიან, რომელი ქვეყნიდან შემოვიდნენ და არიან თუ არა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები და აქ დაბადებულნი, იმიტომ რომ მათ იდენტიფიკაციაზე პასუხისმგებელი სრულწლოვანი პირები ჩვენ არ მოგვმართავენ და რეალურად ეს ბავშვები რჩებიან იდენტიფიკაციის პროცესის მიღმა. ამ რეფორმის შედეგად ჩვენ მივცემთ მზრუნველობის ორგანოებს ანუ სახელმწიფოს იუსტიციის სამინისტროსადმი მომართვის უფლებას და ეს საკითხი აღარ იქნება მშობელზე ან სხვა კანონიერ წარმომადგენელზე დამოკიდებული", - განაცხადა წულუკიანმა.

მისივე განმარტებით, კანონპროექტით ასევე ფართოვდება სოციალური მუშაკის უფლებამოსილება.

„სოციალურ მუშაკს ამ რეფორმით მიეცემა საშუალება უგულვებელყოფის ან ძალადობის შემთხვევაში უკიდურესი ზომის სახით დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის აგრესორისგან განცალკევების შესახებ, რომლის გასაჩივრებაც, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იქნება სასამართლოს ორი ინსტანციის წინაშე, მაგრამ ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა მყისიერად და განცალკევება მოხდება მაშინვე. ჩვენ გვინდა, რომ სოციალური სამუშაო განვითარდეს საქართველოში და ის უკეთესად მოემსახუროს ქუჩაში მყოფი ბავშვის უფლებებს, რომელთა საბოლოო მომავალი, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს ქუჩასთან დაკავშირებული", - აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

# გიორგი კვირიკაშვილი – მარჯვენასაჭიანი ავტომობილების საკითხში უკან ნაბიჯი არ იქნება



– მარჯვენასაჭიანი ავტომობილების საკითხში უკან ნაბიჯი არ იქნება,– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის 15 იანვრის სხდომაზე, შესაბამის კანონპროექტზე საუბრისას განაცხადა.

მისივე შეფასებით, კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელშიც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების ახალი პარტიების შემოტანასა და რეგისტრაციის აკრძალვაზეა საუბარი, "ათასგვარი პოლიტიკური სპეკულაციები ატყდა".

„პირველ რიგში მინდა გავაკეთო განმარტება, რომ საქართველოში არსებული უკვე შემოტანილი მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მფლობელებს მათი გადაფორმება რამდეჯერაც საჭირო იქნება, იმდეჯერ შეეძლებათ. არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ, არავინ ამ ადამიანების საკუთრებას არ ეხება ანუ მათ, ვისაც უკვე შეძენილი აქვს ამ ტიპის მანქანა, შეუძლიათ რამდენჯერაც ნებავთ, იმდეჯერ გაასხვისონ, გადააფორმონ და ა.შ.", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, „ეს არის აუცილებლად გასაკეთებელი".

„მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო არა მხოლოდ ჩვენი მთავრობის, არამედ, დარწმუნებული ვარ, საზოგადოების უდიდესი ნაწილის ნება და ვთქვა, რომ ეს არის აუცილებლად გასაკეთებელი და ამ საკითხში ნაბიჯი უკან არ იქნება. ეს ემსახურება, უპირველეს ყოვლისა, თბილისის მცხოვრებლების ინტერესებს, რადგან დედაქალაქში საშინელი მდგომარეობაა. გადატვირთულია მოძრაობა და ეს სიტუაცია თუ ასე გაგრძელდა, სულ უარესი და უარესი მდგომარეობა გვექნება", - განაცხადა კვირიკაშვილმა.

# თემურ ჭკუასელი ადასტურებს, რომ ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების" წევრებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ან მის ბიზნესში დასაქმებას დაპირდა



ფრაქცია „ქართული ოცნების" დეპუტატი თემურ ჭკუასელი ადასტურებს, რომ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საგურამოს კორპორატიულ შეკრებაზე საპარლამენტო სიის შედგენასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა.

კერძოდ, როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ივანიშვილმა აღნიშნა, რომ პარლამენტის ის წევრები, რომლებიც საარჩევნო სიაში ვერ მოხვდებიან, გადაინაცვლებენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სსიპ-ებში, ან დაინტერესების შემთხვევაში, მასთან ბიზნესში.

„ისიც გაკვრით ითქვა, რომ ქვეყნისთვის გასაკეთებელი ბევრია. სხვა სახის არანაირი პოლიტიკური განცხადებები არ ყოფილა. იქ სადაც თამადა მე ვარ, სიმღერა და ხუმრობაა", - აღნიშნა თემურ ჭკუასელმა.

ამასთან, დეპუტატის ცნობით, გუშინდელი შეხვედრა პირადად მან ფრაქციის თავმჯდომარე გია ვოლსკისთან ერთად დაგეგმა. ჭკუასელის განმარტებით, თავიდანვე გამოითქვა სურვილი, რომ ყოფილიყო ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრების შეკრება ყოფილ და მოქმედ პრემიერებთან ერთად.

ipn.ge

# აღფრთოვანებული ვარ ამ ადამიანების საქციელით

კეთილი საქმეები რომ კეთდება, გულს უხარია და სულს სიამოვნებს. ასეც მოხდა. დავკარგე საფულე, რომელშიც მედო 47 ლარი და ბინის გასაღები. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა სოფელ შრომაში მცხოვრები კორნელი ჩხაიძის საქციელმა, რომელმაც ქუჩაში იპოვა ჩემი საფულე, პატრონი რომ ვერ იპოვა, ჩააბარა იგი საპატრულოს განყოფილების უფროსს ვალერი დოლიძესა და ცვლის უფროსს კარლო ცხომელიძეს, მათ კი მომძებნეს და დამიბრუნეს დანაკარგი. იშვიათია ასეთი პიროვნებები, თავიანთ მოვალეობას პირნათლად რომ ასრულებენ სირთულისა თუ სიძნელის მიუხედავად. აღფრთოვანებული ვარ სამივეს საქციელით.

დიდი მადლობა კეთილშობილო ადამიანებო. გილოცავთ ნათლისღების დღესასწაულს, უფალმა დაგლოცოთ, მადლი არ მოგაკლოთ თქვენ და თქვენს ძვირფას ოჯახებს.

უსაზღვრო პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით,

**ქალბატონი ლამარა.**

# მადლობა ქალაქის მერიას

მადლობა ქალაქის მერს, ბატონ ბეგი სიორიძეს და სოციალური განყოფილების უფროსს, ქალბატონ თამარ დუმბაძეს, რომლებმაც გულთან მიიტანეს უბინაო და მრავალსულიანი ოჯახების გასაჭირი და ახალ წელს ბინით დაკმაყოფილების შესახებ ამცნეს. ჩემმა ოჯახმაც გაიხარა, ჩემი შვილიშვილის თხოვნა გაითვალიწინეთ და ბინით დაკმაყოფილდება.

შობა-ახალ წელს გილოცავთ 80 წლის ქალი. იცოცხლეთ ასი წელი. სიხარული და სიყვარული არ მოგკლებოდეთ.

**ლეილა რობაქიძე.**

# მადლობა

თქვენი გაზეთის საშუალებით, დიდ მადლობას ვუხდი ბატონ ბეგი სიორიძეს, ქალბატონებს თამარ დუმბაძესა და ნინო ნიკოლაიშვილს გულისხმიერებისათვის. იშვიათია ასეთი ადამიანები. უფალმა მრავალი შობა-ახალი წელი და კალანდა გაუთენოს სამივეს.

**ეთერ ჯაში,**

პენსიონერი

# გენიოსთა ენამახვილობა

ცნობილი გერმანელი პოეტი საფარი ერთ ლიტერატორს შეეკამათა, რომელმაც გესლიანად მიუგო:

— თქვენ, ბატონო საფირ, ფულისათვის წერთ, მე კი მხოლოდ ღირსებისათვის!

— ყოველი ჩვენგანი წერს იმისათვის, რაც აკლია, — უთხრა საფირმა.

XXX

— ძნელია ფრანგული ენის შესწავლა? — ჰკითხა ჰაინრიხ ჰაინეს ერთმა მაღალი წრის ქალმა.

— სრულებითაც არა! — მიუგო პოეტმა, — უბრალოდ, გარმანულის ნაცვლად, ფრანგული სიტყვები უნდა ვიხმაროთ.

XXX

როდესაც ცნობილი გერმანელი მსახიობი ადელე ზანდროკი იმ ასაკის გახდა, რომლის გამჟღავნებას ქალები თავს არიდებენ ხოლმე, დაბადების დღისათვის ჰაინრიხ ჰაინემ ასეთი მილოცვა გაუგზავნა:

— გულითადად გილოცავთ დაბადების ოცი წლისთავის მესამედ დაბრუნებას!

XXX

— მომღერლები სამ კატეგორიად იყოფიან — თქვა ჯოაკიმო როსინიმ, — პირველს მიეკუთვნებიან ისინი, რომლებსაც ხმა აქვთ, მაგრამ სიმღერა არ იციან; მეორეს — ისინი, რომლებმაც სიმღერა იციან, მაგრამ ხმა არ აქვთ; ხოლო მესამეს — ისინი, რომლებსაც არც ხმა აქვთ და რომლებმაც არც სიმღერა იციან.

XXX

ერთი კრიტიკოსი ალექსანდრე დიუმას რომანში გამოთქმას აკრიტიკებდა:

— რა არის მტკივნეული სიცარიელე, როგორ შეიძლება ცარიელი საგნის ტკივილი?

დიუმამ მიუგო:

— განა თავი არასოდეს აგტკივებიათ?!

XXX

გოეთე ვაიმარის პარკში სეირნობდა. ვიწრო ბილიკზე, სადაც მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო გავლა, კრიტიკოსი შეხვდა, რომელიც მის მიმართ მტრულად იყო განწყობილი და მკაცრად უთხრა:

— მე სულელებს გზას არ ვუთმობ!

— მე კი პირიქით, — ღიმილით მიუგო პოეტმა და განზე გადგა.

მოამზადა

**როლანდ თავაძე.**

# მილოცვა



ჩვენს სულიერ დას ნაზიკო მეგრელიშვილს დაბადების დღეს ვულოცავთ.

მისი სიმდიდრე მისი წლებია. უსაზღვრო ერთგულებით, პატიოსნებით, კეთილშობილებითა და ღვთის სიყვარულით სავსე ქალბატონს ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და შინაურების კარგად ყოფნას.

ლეილა, თალიკო, რუსუდანი, მაია, ნინო-ივლიტა, მარინა და ნატო.

## განცხადებები

იყიდება სამასკაციანი საქორწინო დარბაზი 100 კვ. მ სამზარეულოთი.

ტელ. 593 95 51 83.

# სკანვორდი




## №2-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ჯულიეტა მაზინა; ორპირიანი მწვერვალი კავკასიონზე — უშბა; ჟამთასვლისა და დროის ღმერთი — ქრონოსი; ბიძია შემოკლებით — ძია; სახელმწიფო ევროპაში — ბოსნია; მესამე პირის ნაცვალსახელი — ის; ძეხვეული — სოსისი; ანბანის მეცხრე ასობგერა — ი; შექსპირის ნაწარმოები — ოტელო; მთვარის რხევები — ლიბრაცია; ქალის სახელი — ანა; ქალის სახელი — ცია; მსახიობთა გუნდი თეატრში — დასი; საზღვაო ბარომეტრის გამომგონებელი — ჰუკი; მაღალი ტიტული — ბარონი; ძიუდოს ხალიჩა — ტატამი; ახალი მოლი ველზე — მდელო; ერთგვარი კანფეტი — ირისი; აბაზიანი და თუმნიანი კურორტი — აბასთუმანი; ბეტონში ჩასაყოლებელი რკინა — არმატურა; ეშმაკი გურულად — ჯოჯო; ქალაქი კახეთში — ახმეტა; პატარა მწერი — კოღო; კედლის სანათი ბრა; ქართული გაზეთი — ალია; საეკლესიო სასჯელი — ექსორია; ეკლესიის სამწყსო — მრევლი; ავი ძაღლის ყეფა — ღრენა; მხარე საქართველოში — ქართლი; პურის მოსავლის აღება — მკა; სევდა — დარდი; დაო მოფერებით — დია; სახალხო დამცველი — ომბუდსმენი; ლიტერატურული ჟანრი — ესე; გარეული ცხოველი — ტურა; მსოფლიოს №2 კოსმონავტი — შეპარდი; მყრალი სურდო — ოზენა.

# ეპოქა ფირალთა ზეობისა
# მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ყოფა ფირალთა ზეობაში

დასაწყისი იხილეთ №31 3 აგვისტო, 2015 წელი, №2 11 იანვარი, 2016 წ

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი



ალფესი მიქელაიშვილი



კოწია თავართქილაძე

1889 წელს კოწია (კონსტანტინე) თავართქილაძემ გახსნა ოზურგეთში პირველი წიგნის მაღაზია და დააარსა სტამბა, სადაც დაიბეჭდა ე. ნინოშვილის პირველი წიგნი თვით ავტორის ზედამხედველობით. კ. თავართქილაძემ თავისსავე სახლში გახსნა აგრეთვე უფასო წიგნთსაცავი, სადაც დიდძალი ახალგაზრდობა ეჩვეოდა კითხვას და ეწაფებოდა სწავლა-განათლებას.

გურიის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების წინსვლის უშუალო დადასტურებას წარმოადგენს ქალაქ ოზურგეთში კოწია (კონსტანტინე) თავართქილაძის მიერ სტამბის დაარსება.

1890 წლის 9 იანვარს გაზ. ივერია იუწყებოდა: „ოზურგეთი: აქ სტამბა დაარსდა და იბეჭდება „ძმა ძმის მტერია", მოთხრობა ვიქტორ ჰიუგოსი. სტამბის პატრონს სურს აგრეთვე რამდენიმე სხვა წიგნის დაბეჭდვა... სხვათა შორის ბატონ სტამბის პატრონს უნდა დაბეჭდოს „ორი ობოლი" და „ზადიგი" მოთხრობა ვოლტერისა და სხვ. 3403

ერთი უაღრესი წარმატების ნიშანი ქალაქ ოზურგეთისა, - წერდა „კვალი" 1894 წელს, - არის სამკითხველოებისა და წიგნის მაღაზიების დაარსება.

... ამ მხრით გვერდს ვერ ავუხვევთ ბატონ თავართქილაძის მოღვაწეობას, რომელსაც ეს რამდენიმე ხანია დაუარსებია ქ. ოზურეგთში წიგნის მაღაზია. იგი წიგნებს ავცრელებს ხალხში და ახლა სამკითხველოც გაუხსნია, თუმც ბატონ თავართქილაძეს წმინდა ვაჭრული განზრახვა აქვს, მაგრამ ამასაც თავისებური სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს (ხალხს).

ოზურგეთის სტამბა კ. თავართქილაძის მიერ დაარსებული იქნა 1889 წელს. აქვე არსებობდა ზემოხსენებული წიგნის მაღაზიაც. აქ დაიბეჭდა ეგნატე ნინოშვილის პირველი წიგნი თვით ავტორის ზედამხედველობით.

1882 წელს კ. თავართქილაძემ ახალსენაკში გახსნა სტამბა და წიგნის მაღაზია. დაბეჭდა ხელმისაწვდომ ფასებში წიგნები, რომელსაც თავისი შეგირდებით ავრცელებდა სამეგრელოს სოფლებში. სტამბას თან ახლდა წიგნთსაცავ-სამკითხველო. სადაც უამრავი ახალგაზრდობა იყრიდა თავს და სარგებლობდა წიგნებით და გაზეთებით.

1895 წელს კ. თავართქილაძემ გახსნა მესამე სტამბა ქ. ბათუმში და ასევე წიგნის მაღაზია. აქაც გააჩაღა გამომცემლობა და მთელ აჭარისტანში წიგნების გავრცელება. სტამბა ხშირად ბეჭდავდა არალეგარულ ლიტერატურას და ავრცელებდა მუშებში... კ. თავართქილაძეს ამის გამო აუკრძალეს ბათუმის ოლქსა და ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრება, რის გამოც იგი თბილისში გადასახლდა.

ცოტა ხნის შემდეგ კ. თავართქილაძემ აქაც გახსნა სტამბა და წიგნების ბეჭდვას შეუდგა. „ვეფხისტყაოსანი" თერთმეტჯერ გამოსცა. არსენას ლექსი ოცჯერ, თამარიანი ხუთჯერ, გამოსცა „გლეხი კაცის ისტორია", „ანტიკური ქვეყანა" და ეგნატე ნინოშვილის თხზულებანი. აღგენდა და გამოსცემდა აგრეთვე ჯიბის და კედლის კალენდარს.

მისი გამოცემებიდან ოზურგეთის სტამბაში აღსანიშნავია: 1891 წ. „ვეფხისტყაოსანი". მარტო ერთი წლის განმავლობაში სამჯერ დაიბეჭდა ეს პოემა.

ყოველკვირეულ გაზ. „კვალის" ცნობით „იყიდება ყველგან წიგნების მაღაზიაში ქალბატონ ნინო ორბელიანის ლექსები კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული. ამ ლექსების ყიდვის მსურველთ შეუძლიათ მიმართონ გამომცემელს ოზურგეთში და ახალ სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში."

ჩვენ მივიღეთ სუფთად დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი", წერდა „ივერია" 1891 წლის 18 აპრილს, — ავტორის სურათით შემკული. წიგნი დაბეჭდილია ოზურგეთში მიქელაშვილისა და თავართქილაძის სტამბაში. შეიცავს 250 გვერდს. ზოგიერთი საგულისხმო აზრი მთავრულის ასოებით არის დაბეჭდილი და ბოლოში სიტყვების განმარტებაც აქვს დართული. წიგნი ძლიერ იაფია. ღირს ექვსი შაური. დიდის ფორმატისაა და საკმაოდ კარგს ქაღალდზედაც არის დაბეჭდილი".

ოზურგეთში სტამბასა და წიგნის მაღაზიასთან ერთად, — წერდა კ. თავართქილაძე, — წიგნთსაცავიც დავაარსეთ. პირველ ოთხ წელიწადს წიგნთსაცავი სუსტი იყო. შვიდ-რვა ჟურნალ გაზეთზე მეტი არ მოგვდიოდა. წიგნების მხრივაც ღარიბი იყო, მკითხველიც ცოტა ჰყავდა... შარშან წიგნთსაცავს საუკეთესო და თვალსაჩინო ადგილზედ სახლი დავუქირავეთ. წიგნების რიცხვიც მოვუმატეთ და ჟურნალ-გაზეთების მხრივაც მდიდარი გავხადეთ. წარსულ წელში მოგვდიოდა 33 სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთი, ერთის თვის განმავლობაში 1037 წიგნი და ჟურნალ-გაზეთი წაღლოთ წასაკითხავად".

„ფირალთა ეპოქაში", კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას როგორც საკუთრივ ოზურგეთში ასევე მის დაბა სოფლებშიაც ტონს აძლევდა და აძლიერებდა თეატრალური სანახაობები, და მუსიკალური საგალობლების ნოტირება.

1894 წლის 12 აპრილს „ივერია" წერდა: „ბატონმა ფილიმონ ქორიძემ, იმ რვა წლის განმავლობაში, რომელიც ოზურგეთში დაჰყო საეკლესიო გალობის და ხმების ნოტებზედ გადასაღებად, ამ ხნის განმავლობაში აქაურებს შეასწავლა უსასყიდლოთ, ნოტებით ევროპული, რუსული და ქართული ხმები. გამართა ოზურგეთში კონცერტი. კონცერტმა საზოგადოდ თავიდან ბოლომდე მშვენივრად და სასიამოვნოდ ჩაიარა. კონცერტი შესდგებოდა ევროპულის, რუსულის და ქართულის მომღერლებისაგან. ასე ლამაზად... კონცერტის ჩატარება ასეთ პატარა ქალაქში, სწორედ რომ დიდად სასიამოვნოა". ხ ასიათი და ზნენი კრიმანჭულის ტომის ნაშიერთა

### გურული კაცი ფიცხია თავს გუუფრთხილდი ბიძია
(ხალხური)

შრომობდა, კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას ესწრაფვოდა, გალობდა და საფირალოდ ემზადებოდა ხალხოსანთა და მესამე დასელთა მიერ „ცეცხლ შენთებული" გურული.

ფიცხი იყო და თოფისწამლივით მფეთქავი. გეზელ ქორივით მზირალი და გავაზივით გადასაფრენად გამზადებული. ქალები ტოლს არ უდებდნენ ვეფხისაგან უფიცხესს მამაკაცებს.

გურულ ქალთა სიკისკასით მოხიბლული თედო სახოკია წერდა:

გურიაში გამოფენაა სილამაზისა და ლამაზებისა ყურადღებას იპყრობს ის სილამაზე სახისა, რომელიც გამჩენს მოუმადლებია აქაურ მკვიდრთათვის. ვინც ქალს დაარქვა ლამაზი სქესი, ალბათ გურული ქალი ჰყავდა მხედველობაში.

თეთრი ყირმიზი სახე, შავი ხავერდისებური გამომეტყველი თვალები, რომელშიაც ვნებათაღელვაც იხატება და გულკეთილობაც.

მაღალი კეთილშობილური შუბლი, მშვილდივით გადაჭიმული წარბები, მიჯრით მიწყობილი ბროლივით კბილები, ყურყუმასავით შავი გრძელი თმა. ზიზლის გამომხატველი მახინჯი სახის ქალსა და კაცს აქ ვერ ნახავ... ყველა ტანადია, მოხდენით მოლაპარაკე, ლაპარაკში ის სიჩქარე და თავისებური კილო ეტყობათ, რომელიც ნიშანდობლივია გურულისათვის და რომელსაც უჩვევი ყური სიამოვნებით ისმენს... ამას უფრო იმ სიჩქარესა და სისწრაფვეს ვაბრალებთ, რა სისწრაფითაც და სიჩქარითაც გურული, ქალი თუ კაცი თავის აზრის გამოთქმას ცდილობს, თან ლაკონიური ლაპარაკიც უყვარს.

ბუნების კანონის წინააღმდეგი იქნებოდა, როცა ასეთი ლამაზი ქალებია, ვაჟებიც მათსავით ლამაზები არ იყვნენ! დიახ, ვაჟებიც ასეთი ლამაზები არიან, და ზოგ შემთხვევაში სჯობიან კიდეცა. მათ სილამაზესთან ერთად საუცხოოდ შეხამებულია მამაცური, პირდაპირული გამომეტყველება სახისა და ცოცხალი, მოძრავი ხასიათი. სიმწარე, სიხარული მალე მოქმედებს იქაურებზე... კეთილშობილობა ყველას ეტყობა სახეზე. გარდა ამისა, აქაურებს სახეზე ვერ შეატყობთ იმ კონტრასტს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს თავადსა, აზნაურსა და გლეხს შუა არის... განსაკუთრებით დღეობაში, ქართლში საზოგადოდ, აღმოსავლეთ საქართველოში, დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, გლეხი თავადისაგან გამოიცნო: არც ჩაცმულობაშია რაიმე, დაახლოვებული მაინც, მსგავსება არც ქცევა-ლაპარაკში. ამ ორ წოდებას შუა უშველებელი უფსკრულია, ხიდია ჩატეხილი. ქართლელ გლეხს რაღაც დაჩაგვრის, დამონების ბეჭედი აზის სახეზედა. თამამად ორ სიტყვას ვერ ეტყვის აღამიანს, თითქო რაღაცის ეშინიან, რაღაც აწუხებსო, თავი მაღლა ვერ აუღია, წელში ვერ გასწორებულა.

ახლა ნახეთ აქაური, გურული გლეხი და შეადარეთ მის ქართლელ მოძმეს! შედარებაც კი არ შეიძლება, თითქმის ყველას გრძელი ჩოხა აცვია, სუფთად და ფაქიზად: გლეხიც თავადივით პირდაპირი მოლაპარაკეა, თამამი, მოსიყვარულე, დაშაქრულის სიტყვა-პასუხის პატრონი, უმაღლესად ზრდილი და თავაზიანი. სულ იმის ცდაშია, როგორმე გაამოს, არ გაწყენინოს-რა. წინდაწინვე მიგიხვდეს, რაცა გწადია და მყისვე აგისრულოს სურვილი, - ეს მისთვის ბედნიერებაა, უმაღლესი ნეტარებაა. ხანში შესულთ ვერა ნახავთ გულზე ნიშანი-რამ არა ჰქონდეთ: წმინდა გიორგის ჯვარი, ან მედალი არ ეკიდოს, სხვადასხვა ომებში მიღებული მამაცობისა და თავგანწირვისათვის.

კარგი ჩაცმა დახურვა, თავადაზნაურებში, ვითარცა „ტოლ სწორებში" გარევა, თოფ - იარაღის ტარება უყვარდა გურულს როგორც კაცს ასევე ქალსაც, „ფიცხი იყო თოფის წამლივით", თუ საქმეს დასჭირდებოდა „უცბად იფეთქებდა" და უსიერ ტყეს მისცემდა თავს.

„ვინმე მესხად" წოდებული იოანე გვარამაძე სწერდა: გურულის „ჩქარ საქმეს უთუოდ ჩქარი ლაპარაკი მოსდევს და დიდ საქმეს გულის მოსვლა ... გულის მოსვლას ... მრისხანება... აქედან ადვილი გამოსაკვლევია გურულის სიჩქარე-სიფიცხელე და ჩქარ მოლაპარაკეობა... გურული ერთსა და იმავე დროს ხელფეხით იბრძვის და მასთანავე ენითა და სულიერი, განა გონებრივი მოქმედებითაც...

გურიაში თავად-აზნაური და (გლეხი) კაძახი ერთიანად ცხოვრობენ და ვერაფრით გაარჩევთ მათ ერთი-მეორისაგან თუ არა წოდებითა. ქართლში რო იძახიან: „მე თავადი ვარ და შენ გლეხი, და თაყვანი მეციო", აქ ეს არ არსებობს. რაც კაძახია ის კეთილშობილია. ერთი შემთხვევა იყო აქა: ერთი აზნაურიშვილი კაძახს შეხვდა და კაძახი უდიერად მოექცა აზნაურიშვილსა, რომელიც ცხენზე ამხედრებული ბრძანდებოდა. ცხენოსანმა იწყინა და შეუძახა: კაძახო, რავა მიბედავ, ხედავ ამასო და მათრახი ასწია ზევით, რომ გაუშალოს სახეში, მაგრამ სანამ მათრახს აიღებდა კეთილშობილმა, კაძახმა ფიშტო იძრო... და ცხენიდან გადმოუძახა კეთილშობილი. ამისათანა მაგალითები მრავალია აქ...

ორივე წოდება ერთნაირადვე იცმენ სუფთად და მშვენიერად ჩაქურას (მოკლე ჩოხა-შარვალსა), წელზე არტყიათ ბელ-ყაიში, ყამა, ფიშტო აქვთ გარჭობილი, ჰკიდიათ მათარა, თავზე ყაბალახი აქვთ და ფეხებზე პაჭანიკებით მოწკაპილი წუღები მესტებით. ამგვარად ჩაცმული გურული მნახველს მოეწონება...

გურულების საყვარელი ერთ-ერთი იარაღია და მონადირეობა ხომ უსაყვარლესია. ჯარში გასვლა მათთვის ერთად-ერთ სამოთხეს შეადგენს. წვრილ ფეხობასაც, 5-6 წლისას, ისე უყვართ იარაღი, რო ხითგან გათლილ სატევრებსა წელს ირჭობენ და მით ამაყობენ ხოლმე...

შესახედავად მეტად მშვენიერი ხალხია..., მეტადრე ქალები... გურულს გული (მოსდის) თავისი სიფიცხითა, რადგანაც მას სული ცხვირში აქვს, მაგრამ ერთი კარგი თვისებაცა აქვთ, რომ დამშვიდება მყისვე იციან. ღმერთმა ნუ ქნას დიდხანს გასწეოდა გურულს გულის მოსვლა, თორემ თქვენი მტერი, ერთმანეთს ისე ამოჟლლეტდნენ, რომ დღეს (საერთოდ) აღარ იქნებოდნენ. მტრობა კი სიკვდილამდე გულითგან არ გამოუვა გურულს, თუკი ვინმემ რამე აწყენინა და თუ ვარგა გადაუხდის რითიმე და ისე კი მიწაში არ ჩავა. ასეთი მტრობით კაცის კვლა ხშირი აქვთ და არც ბოლოკად აგდებენ (ერთმანეთის სიცოცხლეს). ამისათვის დაკარგვა ციმბირში, ანუ კატორგაში (დაკარგვა) გაგზავნა არც კი აწუხებს მათ, რადგანაც, ვინც წავიდა გამდიდრდა და ესენიც იმას მოელიან თავიანთი გულის წადილის - კაცის მოკვლის ასრულების შემდეგ.

ასეთი სურვილებით შეჭურვილი გურულები ბევრია დაკარგული და მოშორებული თავის ქვეყანას. წელიწადში ოცდაათი სული მაინც დაიკარგება. ორი და სამი ამდენი ციხეში გამოლპება.

„გურული მეტად განსხვავებული ბუნების ადამიანს შეადგენს საქართველოში... ტეტიას რომ აგინოთ, იმისათვის სამაგიეროს არას გეტყვის; აქეთ რომ წამოხვიდეთ და სურამელს აგინოთ, სამაგიეროთ შეიძლება მიზეზი გკითხოს შეგინებისთვის; იმერეთში ხოროგაულელები-კი ამისთვის სამაგიეროს შემოგაგინებსთ, ქუთათური იმერელი კი ცემატყეპით და იარაღის დაშიშვლებით გადაგიხდიან, ხოლო გურული-კი ამას წუთიერი სიკვდილით გადაუხდის მაგინებელს, იარაღით მაშინათვე გააციებს".

საზოგადოდ გურული ხალხი მშვენიერია, შუატანის შესახედი, თეთრ-ნათელ კანიანი... მხნე, პირადი, ცქაფი, სტუმართ მოყვარე და პურ ღვინისა, უყვარს სისუფთავე, და სიწმინდე ყველაფერში... შურისძიება ძირთამდე ესისხლ-ხორცება, რითაც მტრობა მას ეძლიერება მტერთან, სისხლს სისხლით სისხლავს მოსისხლე მტრისას, თვითმოყვარეობა უზომოა... აქ ყოფილა ფირალობა (ყაჩაღობა) და მათი ზეპირგადმოცემაც მრავალია...

**ენვერ გოგუაძე**

## უშანგი სალუქვაძის გახსენება



რაც შენ წახველ, ერთი წელი გავიდა.
ეს დღეები რა უღმერთოდ გავიდა.
უშენობა — ვაი! როგორ ძნელია,
ახლა ჩემთვის ნათელიც კი ბნელია.
შენი წასვლით გული როგორ მატკინე,
თვალთ ცრემლების ნაკადული მადინე,
მარმარილოს ცივ ლოდებზე მამთხვიე,
ტანზე კი შავ სამოსელში გამხვიე.
გოდების ხმა თუ მოგესმა — ჩემია,
ამის მეტი შენს დას რა დარჩენია,
ის ცრემლებით დაგინამავს საფლავსსა
და მოგიფენს ნაზად იასამნსა.

**შენი და**
**ლეილა სალუქვაძე**

ნოდარ, ნუგზარ დონაძეები ოჯახით იუწყებიან **თამაზ მალხაზის ძე დონაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის" რედაქცია თანაუგრძნობს ნოდარ დონაძეს ბიძაშვილის **მალხაზ დონაძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ციური გვარჯალაძესა და ირმა ერქომაიშვილს უსაყვარლესი შვილისა და მეუღლის **ბიძინა ქარჩავას** გარდაცვალების გამო.

თინა მიქაბერიძე, ნაზი სალუქვაძე თანაუგრძნობენ იზო ქარცივაძეს შვილის **გოჩა მგელაძის** გარდაცვალების გამო.

# კალანდას გილოცავთ გურულებო!




ირაკლი ალასანიას გუნდის წევრის, „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის თემურ სალუქვაძის მიმართვა

შეცდომაც შეცდომაა, მაგრამ როდესაც ხელისუფლება შეცდომას დანაშაულამდე ზრდის და ადამიანების გრძნობებზე და ტრადიციების ხელყოფაზე თამაშობს, მხოლოდ საკუთარი სკამებისა და კეთილდღეობის შენარჩუნების მიზნით, ეს უკვე უზნეობაა! საინტერესოა, რას ეუბნებიან ნატანებელებს, ურეკელებს, რომ ისინი აღარ არიან ოზურგეთელები და ფოთელები გახდნენ? ან ძიძითელებს, ნაგომრელებს, ბაილეთელებს, სილაურელებს, ნასაკირალელებს, ჯუმათელებს, რომ თქვენ ლანჩხუთლები და ჩოხატაურელები ხართ? პასუხად ტელევიზიიდან „ბრძენი და გამოცდილი“ პოლიტიკოსების არასერიოზული არგუმენტები გვესმის მხოლოდ! ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, ზემოთ მყოფთ ასეთი წარმოდგენა აქვთ საკუთარ ხალხზე და მალე ივიწყებენ მათ ბუნებასა და ხასიათს! მივმართავ ჩემს ოზურგეთელებს მთლიანს და ერთიანს, მე, როგორც თავისუფალი დემოკრატი და ირაკლი ალასანიას გუნდის წევრი, გპირდებით, თქვენთან ერთად დავძლევთ ყოველივე უმსგავსო ქმედებას და ყველაფერს დავუბრუნებთ თავის კანონზომიერ, სამართლიან და ბუნებრივ საწყისებს. ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, ეშმაკი ჰყოფს, უფალი აერთიანებს!

(დ)

# ძვირფასო ოზურგეთელებო...

გილოცავთ შობა – ახალ 2016 წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კეთილდღეობას და სულიერ სიმშვიდეს. მჯერა რომ მხოლოდ ურთიერთპატივისცემითა და სიყვარულით ერთად გადავლახავთ ყველა სირთულესა და გამოწვევებს. მჯერა, რომ 2016 წელი ჩვენი ქვეყნისთვის იქნება კიდევ ახალი გამარჯვების და წარმატებების მომტანი. მხოლოდ ერთმანეთის თანადგომით შევძლებთ ჩვენი ქალაქისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის დაწყებული სასიკეთო საქმეების კეთებას. თქვენთან ერთად, უკეთესი ხვალინდელი



დღის და მომავლის იმედით! უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი...

ბესო მელუა,
ქალაქ ოზურგეთის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

(დ)

# გოჩა კალანდაძე ვაკიჯვარში რაგბის აღორძინებას გეგმავს



ალიონი. 20 წლის გოჩა კალანდაძე ოზურგეთის „არწივების“ შერკინების რვა ნომერია და გუნდის კაპიტანი. ამ გუნდის წარმატებებში მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის.

გოჩამ აქტიური სპორტის გარდა მსოფლიო რაგბის კავშირის მეორე დონის მწვრთნელის სერთიფიკატი მიიღო და ვაკიჯვარში რაგბის აღორძინებას გეგმავს.

სოფელ ვაკიჯვარში რაგბის სექცია სამი წლის წინ გაიხსნა და საკმაო წარმატებებსაც აღწევდნენ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ამ სოფელში როლანდ ხუნდაძე დაინტერესებულია სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის განვითარებით.

გაზეთი „ალიონი“ წერდა ამ თემაზე და გაზეთის რესპონდეტები ამ თემაზე როლანდ ხუნდაძის გარდა ოზურგეთში სპორტის ამ სახეობის დამფუძნებელი ზვიად უნგიაძეც იყო.

გარკვეული მიზეზების გამო ვაკიჯვარში რაგბის სექციამ მუშაობა დროებით შეაჩერა. ახლა კი გოჩა კალანდაძე ჩაუდგება რაგბის სექციას სათავეში.

— არ ვაპირებ აქტიურ სპორტს ჩამოვცილდე —გვითხრა გაზეთ „ალიონში“ სტუმრობისას გოჩა კალანდაძემ. მას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თეიმურაზ ბურჭულაძე ახლდა.

— თემების მუნიციპალიტეტი სოფლებში სპორტის ცალკეული სახეობების სექციების გახსნას მომავალშიც გეგმავს —გვითხრა თემურ ბურჭულაძემ.

გოჩა კალანდაძეს იმედი აქვს სოფელი ვაკიჯვარი ქართულ რაგბს კარგ შევსებას მისცემს.

# ავტომობილები განვადებით






## ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2 გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№11ა.

(რ)

# საახალწლო ტრადიციული ტურნირი ჭადრაკში

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა ტრადიციული საახალწლო ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც ქალაქ ოზურგეთის და მუნიციპალიტეტის არაერთი ტიტულოვანი და წარმატებული მოჭადრაკე მონაწილეობდა. ტურნირისადმი ინტერესს ზრდიდა ისიც, რომ მასში დეკემბერში ჩატარებული გურიის ჩემპიონატის ხუთი მონაწილე იყო ჩართული, მათ შორის გურიის ჩემპიონი გიორგი გოგოლაური, ვიცე-ჩემპიონი გივი სიამაშვილი და ოზურგეთის გასული წლის ჩემპიონი აკაკი გოგუა.

ჩემპიონატი, რომელიც წრიული სისტემით ჩატარდა, საინტერესოდ წარიმართა, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ საპრიზო სამეულში ადგილების განაწილება მხოლოდ ბოლო, მე-14 ტურში გადაწყდა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილისათვის ბრძოლა სწორედ ზემოთ აღნიშნულ მოჭადრაკეებს შორის გაჩაღდა.

საბოლოოდ გურიის მოქმედმა ჩემპიონმა გიორგი გოგოლაურმა ამჯერადაც დაამტკიცა,რომ რეგიონის ძლიერ მოჭადრაკეთა სათავეში შემთხვევით არაა. მან 14 შესაძლებლობიდან 11,5 (+10, =3, - 1) ქულა დააგროვა და პირველი ადგილიც დაისაკუთრა. ოზურგეთის 2015 წლის ჩემპიონმა აკაკი გოგუამ, რომელმაც გურიის ჩემპიონატში თავისი შესაძლებლობები სრულად ვერ წარმოაჩინა, ამჯერად კარგად ითამაშა და 11(+9,=4,-1) ქულით მეორე ადგილზე გავიდა. გურიის ვიცე-ჩემპიონი გივი სიამაშვილი რომ კარგ ფორმაშია ეხლაც ნათლად გამოჩნდა . მას ერთი ქულა დააკლდა გამარჯვებისათვის, თუმცა 10,5(+9.=3.-2) ქულით მოპოვებული მესამე ადგილი მისი კიდევ ერთი წარმატებაა. მეოთხე ადგილი 8 ქულით ახალგაზრდა პერსპექტულმა მოჭადრაკემ 11 წლის თორნიკე მახარაძემ დაიკავა.

ტურნირის წარმატებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ სპეციალური დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით, რომელიც ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრმა დააწესა. როგორც შეჯიბრების ორგანიზატორმა, გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმ.დირექტორმა ზურაბ ანდღულაძემ აღნიშნა,ამ ტურნირით პრაქტიკულად დაიწყო ახალი, 2016 წლის საჭადრაკო სეზონი, რომელიც საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიებებით იქნება დატვირთული.

გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“

1 თვით – 2 ლარი;
3 თვით – 6 ლარი;
6 თვით – 12 ლარი;
12 თვით – 24 ლარი.

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, ღრუბელი +6+16 | წვიმა +2+10 | მცირე თოვლი, +1+4 | მცირე თოვლი, 0+6 | მზე, +6+11 | მზე, ღრუბელი +6+13 | წვიმა +3+11 |
| 18 იანვარი ორშაბათი | 19 იანვარი სამშაბათი | 20 იანვარი ოთხშაბათი | 21 იანვარი ხუთშაბათი | 22 იანვარი პარასკევი | 23 იანვარი შაბათი | 24 იანვარი კვირა |